



მისთ კრედიტსერვისი +

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

წლიური ანგარიში

2017 წელი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

- 2017 წელი შპს მისო კრედიტსერვისი+ -ისთვის დიდი გამოწვევების გადალახვის და განვითარების წელი იყო.
- სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწის, კვალიფიციური კადრების მოზიდვის, ფილიალების ქსელის ოპტიმიზაციისა და ახალი პროდუქტების დანერგვის მიმართულებით.
- მმართველმა გუნდმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანებს.
- 2018 წლის პრიორიტეტული მიმართულებებია საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური განვითარება, ახალი პროდუქტების დანერგვა, კომპანიის ეფექტიანობის ამაღლება, პოზიციების გამყარება საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზარზე.



კრედიტსერვისი+ -ის შესახებ

- შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტსერვისი+“ 1999 წლის 4 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შპს ფორმით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 202950226. კომპანიის იურიდიული მისამართია: პეკინის ქუჩა #33ა, თბილისი საქართველო. 2008 წლის 6 თებერვალს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.
- კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები.
- კრედიტსერვისი+ ქართული კაპიტალით შექმნილი, დინამიურად მზარდი, კომპანიაა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება.

- კომპანიის პროდუქტები და მომსახურება მორგებულია მცირე და საშუალო ზომის ვაჭრობის და მომსახურების სფეროს წარმომადგენლების ბიზნეს საჭიროებებზე.
- ფერმერულ მეურნეობებსა და ფიზიკურ პირებს საშუალება აქვთ ისარგებლონ მათზე მორგებული გადახდის გრაფიკებიანი აგრო სესხებით.
- გარდა ბიზნეს და აგრო სესხებისა, მომხმარებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ძვირფასი ლითონებითა და ქვებით, აგრეთვე ავტო სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო და კომუნალური სესხებით.
- კრედიტსერვისი+ის კლიენტებს შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ ვალუტის გაცვლის, სწრაფი ფულადი გზავნილების, კომუნალური მომსახურები გადახდის და ა.შ სერვისები.

მმართველი ორგანოების წევრები

- **სამეთვალყურეო საბჭო**


ნაზიკო კანდელაკი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
თამარ კანდელაკი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ქეთევან ხიზანიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

- **დირექტორატი**

გურამ კანდელაკი	დირექტორი
აკაკი არაშიძე	ფინანსური დირექტორი
გიორგი მამადაშვილი	უსაფრთხოების დირექტორი



სერვისცენტრების ქსელი



კრედიტსერვისი+-ის საქმიანობის მოცულობის ზრდასთან ერთად ფართოვდება სერვისცენტრების ქსელი, კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიზნებისთვის უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს რეგიონების სრულად ათვისებას და დაფარვას.

2017 წლის ბოლოს, გარდა თბილისში განლაგებული სათაო ოფისისა და 9 სერვისცენტრისა, კლიენტებს ემსახურება 22 რეგიონალური (ქ.რუსთავი, რუსთავი ავტობაზრობა, მარნეული, საგარეჯო, წნორი, ლაგოდეხი, თელავი, კასპი, გორი, ხაშური, ახალციხე, ქუთაისი, ზესტაფონი, სამტრედია, საჩხერე, ბათუმი, ქობულეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ფოთი, სენაკი, ზუგდიდი) სერვისცენტრი, რომლებიც თავიანთი განლაგებიდან და კომპანიის ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ფარავს თითქმის მთელ ქვეყანას, რაც საშუალებას აძლევს ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის არქონე ადამიანებს შესთავაზოს მათზე გათვლილი ფინანსური სერვისები. ეს ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ასევე სიღარიბისა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2017 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2017 წელის განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შეიზღუდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 100%-მდე. აიკრძალა 100 000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა, აიკრძალა ფიზიკური პირებიდან თანხების მოზიდვა თუ ის 100 000 ლარზე ნაკლებია. ამავე საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო უფლებამოსილება, სრული ზედამხედველობა გაუწიოს არასაბანკო ორგანიზაციების საქმიანობას. ცვლილებების შედეგად არსებითად გამკაცრდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სარეგისტრაციო მოთხოვნები შესაფერისობის კრიტერიუმებისა და კაპიტალიზაციის კუთხით.

მისო კრედიტსერვისი+ მმართველმა გუნდმა თანმიმდევრული პოლიტიკის გატარების შედეგად უზრუნველყო კომპანიის, როგორც ფინანსური, ასევე ინსტიტუციონალური ზრდა მიმდინარე პერიოდის გამოწვევების ადეკვატურად.

მოხდა სერვისცენტრების ქსელის ოპტიმიზაცია, ორგანიზაციულ სტრუქტურას დაემატა ახალი ერთეულები, საკვანძო თანამდებობზე დანიშნულ იქნა საფინანსო სექტორში დიდი გამოცდილების მქონე კადრები, განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

გაიზარდა კლიენტებზე შეთავაზებული პროდუქტების სია, განსაკუთრებით არასასესხო პროდუქტები.

2017 წლის დასაწყისიდან კომპანიამ შეანელა საკრედიტო აქტივობა, გაამკაცრა დაკრედიტების პოლიტიკა. ჩაატარა მთლიანი საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი, მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით არ ევალდებულებოდა შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა, შიდა პოლიტიკით სწორად მიიჩნია რისკების მართვის კონსერვატიული მიდგომა და შექმნა სესხების რეზერვის ადეკვატური მოცულობა.

ხაზინისა და ინკასაციების სამსახურების ერთობლივი ძალისხმევით გაუმჯობესდა კომპანიის ლიკვიდური აქტივები მართვა.

ბანკებთან წარმატებული მოლაპარაკების შედეგად, მათგან ნასესხები სახსრები მთლიანად ეროვნულ ვალუტაში იქნა გამოხატული, ხოლო მეორე ნაწილი, რომლების კვალიფიციური ინვესტორებიდან (ბიზნესმენები, იურიდიული პირები) იქნა მოზიდული, შედგებოდა როგორც ეროვნული ასევე უცხოური ვალუტისაგან, თუმცა სავალუტო რისკებისაგან თავის დასაზღვევად ხდებოდა მათი ეროვნულ ვალუტაზე გაცვლა (სვოპ ოპერაციები) ბანკებთან.

მოხდა არასაპროცენტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას მმართველმა გუნდმა წარმატებით გაართვა თავი ურთულეს ამოცანებს და საკმაოდ მომზადებული შეხვდა 2018 წელს

2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ბალანსი

აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,597
კლიენტებზე გაცემული სესხები	19,662
ძირითადი საშუალებები	4,721
არამატერიალური აქტივები	188
სხვა აქტივები	578
<u>სულ აქტივები</u>	<u>31,746</u>
ვალდებულებები	
ნასესხები საშუალებები	34,985
გადასახდელი გადასახადები	619
სხვა ვალდებულებები	989
სულ ვალდებულებები	36,593
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	2,645
დაუფარავი ზარალი	(7,492)
სულ კაპიტალი	(4,847)
<u>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</u>	<u>31,746</u>

მოგება-ზარალი

ათასი ლარი

სულ საპროცენტო შემოსავალი	13,061
სულ საპროცენტო ხარჯი	(6,412)
სესხების გაუფასურების რეზერვი	(629)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ	6,020
სულ არასაპროცენტო შემოსავალი	10,321
სულ არასაპროცენტო ხარჯი	(15,173)
საანგარიშო წლის მოგება, მოგების გადასახადის დაბეგვრამდე	1,168
მოგების გადასახადის ხარჯი	(437)
საანგარიშო წლის მოგება	731



2018 გამოწვევები და კომპანიის გეგმები

2018 წელი რეგულაციების გაზრდის და საკანონმდებლო ცვლილებებით დატვირთული წელია, კომპანიის მმართველი გუნდის ამოცანაა მაქსიმალურად უზრუნველყოს მზადყოფნა ყველა საკანონმდებლო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, მოთხოვნილ ვადებზე ადრე უზრუნველყოს კაპიტალის შევსება და მისი კანონმდებლობით მოთხოვნასთან ადეკვატურობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ძირითადი პროექტების (ალტა საოპერაციო, სასესხო და სხვ. მოდულები) დასრულება წლის ბოლომდე.

კიდევ უფრო აქტიური თანამშრომლობა ბანკებთან. მაქსიმალური დივერსიფიცირება, როგორც სასესხო, ასევე საოპერაციო და სახაზინო მომსახურებისა.

კლიენტების ბაზის ზრდა. აუთვისებელი რეგიონების პოტენციალის შესწავლა და რენტაბელობის შემთხვევაში მათი ათვისება.

ახალი პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლებზე. არა სასესხო პროდუქტების დანერგვა, შესაბამისად არასაპროცენტო შემოსავლების ზრდა.

საპროცენტო და არასაპროცენტო ხარჯების შემცირება.

საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესება.